სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 იანვარი, 2026 წელი

ბრძანება №01-10/01

„ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობისა და ძირითადი საკვალიფიკაციო** მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2025 წლის 16 აპრილის №01-10/40 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების (დანართი №4 - პროფესიული საანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები), ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის (№07-01/41, 08.09.2023წ.), ბსუ-ს შინაგანაწესის (№02, 09.09.2011წ.), ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის (№07-01/58, 24.12.2021წ.), და ბსუ-ს პროფესიული პროგრამებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის №28364 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობისა და ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2025 წლის 16 აპრილის №01-10/40 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ბრძანების **№1 დანართში (**ბსუ-ს პროფესიული პროგრამებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობა) <u>ცენტრის სპეციალისტის (ხარისხის მართვის კოორდინატორი) ფუნქციებიდან ამოღებული იქნეს პროფესიული განათლების მართვის სისტემაში მონაცემების ასახვის თაობაზე</u> და შესაბამისად, ცვლილება შევიდეს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ფუნქციებში. აღნიშნულის გათვალისწინებით **№1 დანართის:**

ა) 1**.2. პუნქტის** (სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის ფუნქციები) „**ძ“** ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ძ) ახორციელებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;“

ბ) **1.4. პუნქტის** (სპეციალისტის (ხარისხის მართვის კოორდინატორი) ფუნქციები) „თ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის ფუნქციათა (სამუშაო) აღწერილობა“ (**N1 დანართ**ი).

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიულ ცნობარში და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ველში ბსუ-ს ვებგვერდზე).

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს (ცენტრის პერსონალს), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია 2026 წლის 16 იანვრიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მ. დიასამიძე**